

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

სარჩევი

	გვერდი
დირექტორთ საბჭო და სხვა კორპორატიული ინფორმაცია	1
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებ	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
დაგროვილი დეფიციტის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9-36

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

დირექტორთა საბჭო და სხვა კორპორატიული ინფორმაცია

დირექტორთა საბჭო

კლიფორდ სტენლი აიზეკი
დევიდ ჯონ რაშზი
არიკ ბრუს კანინგემი
რადიმ სიპრუსი
პაველ მარევი - რადიმის ალტერნატიული დირექტორი
სიპრის და არიკ ბრუს კანინგემი
ლუკას ჰავიარასი - რადიმის ალტერნატიული დირექტორი
სიპრის და არიკ ბრუს კანინგემი

კომპანიის მდივანი

„მონტრაგო სერვისის ლიმიტედი“

რეგისტრირებული მისამართი

არქ. მაკარიო III, 195
„ნეოკლეოს ჰაუსი“
3030, ლიმასოლი
კვიპროსი

სარეგისტრაციო ნომერი

HE 74623

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
შემოსავალი	7	5,577	5,780
ფინანსური ხარჯები	9	(3,846)	(4,131)
საწარმოო დანახარჯები		(1,876)	(1,757)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,543)	(1,576)
შეფასების ცვლილება	16	521	(818)
რეზერვის ხარჯი	15	(684)	
გაუფასურების ზარალი ნავთობისა და გაზის აქტივებზე და მიებისა და შეფასების და სხვა არამატერიალურ აქტივებზე	11, 12	(243)	(606)
გაუფასურების ზარალის აღდგენა ნავთობისა და გაზის აქტივებზე და მიებისა და შეფასების და სხვა არამატერიალურ აქტივებზე	11, 12	582	-
ცვეთა, ამოწურვა და ამორტიზაცია	11, 12	(467)	(134)
სავალუტო ზარალი, წმინდა		(52)	(39)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4	203
აქტივების რეალიზაციით მიღებული მოგება		3	59
ზარალი გადასახადებამდე		(2,024)	(3,019)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
წლის წმინდა ზარალი		(2,024)	(3,019)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(2,024)	(3,019)

6-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით აშშ დოლარში)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
		გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11 2,633	976	506
მიებისა და შეფასების და სხვა არამატერიალური აქტივები	12 -	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,633	976	506
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ	13, 19 2,611	2,433	985
მარაგები	253	129	214
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	213	159	218
ფული და ფულის ეკვივალენტები	43	1	-
სულ მიმდინარე აქტივები	3,120	2,722	1,417
სულ აქტივები	5,753	3,698	1,923
კაპიტალი და ვალდებულებები			
სააქციო კაპიტალი	17 19	19	19
აქციის პრემიუმი	124,488	124,488	124,488
დაგროვილი ზარალი	(199,457)	(197,433)	(194,414)
სულ კაპიტალი	(74,950)	(72,926)	(69,907)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვი	16 3,286	3,807	2,721
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,286	3,807	2,721
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	14 76,623	72,763	68,898
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	15 794	54	211
სულ მიმდინარე ვალდებულებები	77,417	72,817	69,109
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	5,753	3,698	1,923

2020 წლის 30 ოქტომბერს „ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“ მენეჯმენტმა დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად.

კლიფორდ აიზიკი
დირექტორი

მაკა ბეჟანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

6-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

დაგროვილ დეფიციტში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით აშშ დოლარში)

	გამოშვებული სააქციო კაპიტალი	აქციის პრემიუმი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	19	124,488	(194,414)	(69,907)
სულ წლის სრული ზარალი	-	-	(3,019)	(3,019)
31 დეკემბერი 2018	19	124,488	(197,433)	(72,926)
სულ წლის სრული ზარალი	-	-	(2,024)	(2,024)
31 დეკემბერი 2019	19	124,488	(199,457)	(74,950)

6-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლიური ზარალი		(2,024)	(3,019)
კორექტირება:			
გაუფასურების ზარალი	11,12	243	606
გაუფასურების აღდგენა	11,12	(582)	-
რეზერვის ხარჯი	15	684	-
ცვეთის ხარჯი	11,12	468	134
მეკავშირე მხარის მიმართ არსებული მოთხოვნის რეზერვი		21	60
საპროცენტო ხარჯი	9	3,860	3,865
დისკონტის გაუქმება	9,16	-	268
(კლება)/ზრდა რეზერვში	16	(521)	818
აქტივების რეალიზაციით მიღებული მოგება		(1)	(59)
წმინდა ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	18	(300)	(1,521)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		1,848	1,152
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	11	(1,807)	(1,206)
დანახარჯები არამატერიალურ აქტივებზე	12	-	(24)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		1	79
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები, წმინდა		(1,806)	(1,151)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
ერთობლივი საწარმოს პარტნიორის სესხის დაფინანსება		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		-	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		42	1
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		1	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		43	1

6-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

„ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“ („კომპანია“) დაფუძნდა კვიპროსში, 1995 წლის 24 ოქტომბერს, როგორც კერძო, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია კომპანიათა შესახებ კანონის 113-ე მუხლის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია არქ. მაკარიო III გამზირი #195, „ნეოკლეოს ჰაუსი“ 3030, ლიმასოლი, კვიპროსი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნახშირწყალბადების ძიება და წარმოება საქართველოში. „ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“ ამჟამად ფლობს 100%-იან კონტრაქტორი მხარის წილს ნინოწმინდის, მანავისა და დასავლეთ რუსთავის წარმოების ზიარ კონტრაქტში („ზიარი კონტრაქტი“), რომელიც მოიცავს XIE ბლოკს საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად (წარმოდგენილი სახელმწიფო სანავთობო კომპანიის, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის, ყოფილი „საქართველოს ნავთობის“ სახით). 2012 წლის 27 ივლისს კომპანიის უშუალო დამფუძნებელმა, „კანარგო ლიმიტედმა“ „ემენდი ჯორჯიასთან“ („ემენდი“) გააფორმა აქციების შესყიდვის ხელშეკრულება, რომელითაც „ემენდიმ“ შეისყიდა კომპანიის სააქციო კაპიტალის 50%.

„კანარგო ჯორჯია ლიმიტედ ოპერატორი“, რომელიც არის „კანარგო ლიმიტედის“ 100%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია, არის კომპანიის მიერ დანიშნული ოპერატორი 2016 წლის 27 ოქტომბრამდე. 2016 წლის ოქტომბერში კომპანიამ შეწყვიტა შეთანხმება ოპერატორთან და იგი ჩაანაცვლა ახალი ოპერატორით, შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ კომპანიტ“, რომელიც არის „ემენდი ჯორჯიას“ მიერ 100%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია.

2. შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროკავშირის მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და კომპანიათა შესახებ კვიპროსის კანონის 113-ე მუხლის შესაბამისად.

2.1 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და წარმოდგენილია აშშ დოლარში (საპრეზენტაციო ვალუტა), რომელიც აგრეთვე არის ის ვალუტა, რაც ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის სათანადო საბაზისო მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ შინაარსს (ფუნქციონალური ვალუტა).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ მოქმედებას, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას (შენიშვნა #5).

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ურთიერთჩათვლას არ ექვემდებარება, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული რომელიმე სააღრიცხვო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და საგანგებოდ განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები ახსნილია ქვემოთ.

2.2 არამატერიალური აქტივები

ნავთობისა და გაზის ძიებისა და შეფასების ხარჯები

ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ძიებისა და შეფასების ხარჯები ჯგუფდება საბადოების მიხედვით. ძიებისა და შეფასების ხარჯები, მათ შორის ლიცენზიის მიღების ხარჯი, კაპიტალიზდება გაწვევასა როგორც ძიებისა და შეფასების არამატერიალური აქტივები. სამივემ ჭასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება რეზერვების დადგენამდე და თუ რეზერვები არ იდენტიფიცირდა, გადადის ხარჯების კატეგორიაში. ყველა სხვა შესაბამისი ძიებისა და შეფასების ხარჯები გადაიტანება როგორც აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს ქონებაზე საკუთრების მიმდინარე უფლება და

სავარაუდოა, მოხდეს ამ ხარჯების ამოღება ქონების წარმატებით განვითარების ან გაყიდვის გზით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზემოაღნიშნული პირობები არ კმაყოფილდება, ძიებისა და შეფასების კაპიტალიზებული ხარჯები ჩამოიწერება აღდგენად ღირებულებამდე.

თუ დადგინდა, რომ რომელიმე უძრავ ქონებასთან მიმართებით საწარმოო მარაგები აღმოჩენილი არ არის, ყველა სხვა შესაბამისი ხარჯები ჩამოიწერება აღდგენად ღირებულებამდე. საწარმოო მარაგების აღმოჩენის შემთხვევაში, ძიებისა და შეფასების აქტივები მოწმდება გაუფასურებაზე და გადადის განვითარების მატერიალურ აქტივებში. ძიებისა და შეფასების ფაზაში რესურსების ამოწურვია ანდა ამორტიზაცია არ აღირიცხება.

2.3 ძირითადი საშუალებები

(ა) ნავთობისა და გაზის აქტივები

ნავთობისა და გაზის აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დანახარჯები მშენებლობაზე, ინფრასტრუქტურული ობიექტების, მაგალითად ბაქნების, მილსადენების დამონტაჟება-დასრულებაზე და საწარმოო ჭების გაბურღვაზე, მათ შორის, ჭების წარუმატებელ გაყვანა-შემოფარგვლაზე, კაპიტალიზდება ნავთობისა და გაზის აქტივების ფარგლებში, როგორც მატერიალური აქტივები, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ საბადოზე კომერციული მოპოვებისთვის შესაფერისი მარაგები მოიპოვება.

აქტივის თავდაპირველი ღირებულება მოიცავს მის შესასყიდ ფასს ან მშენებლობის ღირებულებას, აქტივის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, აქტივის ჩამოწერის ვალდებულების წინასწარ შეფასებულ ღირებულებას და, კვალიფიციური აქტივების შემთხვევაში, სესხის ხარჯებს. შესასყიდი ფასი ან მშენებლობის ღირებულება არის გადახდილი თანხისა და აქტივის შესაძენად გადაცემული ნებისმიერი სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ჯამი. ძირითად საშუალებებში აგრეთვე შედის ფინანსური იჯარის კაპიტალიზებული ღირებულება.

თუ მოცემულ ტერიტორიაზე სამრეწველო მოპოვება დაწყებულია, ნავთობისა და გაზის აქტივებს ცვეთა ერიცხება საწარმოო ერთეულის საფუძველზე, მოცემული საბადოს დადასტურებული და სავარაუდო მარაგების გათვალისწინებით. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა საბადოს სასიცოცხლო ვადაზე მოკლეა. ასეთ დროს გამოიყენება წრფივი მეთოდი. უფლებებსა და კონცესიებს ამოწურვის ხარჯი ერიცხება საწარმოო ერთეულის საფუძველზე, მოცემული საბადოს დადასტურებული და სავარაუდო მარაგების გათვალისწინებით. საბადოს მოპოვების დანახარჯების ამორტიზაციის საწარმოო ერთეულის განაკვეთში აისახება ანგარიშგების მომენტამდე გაწეული დანახარჯები და, ასევე, მომავალი მოპოვების დანახარჯები, რაც საჭიროა დადასტურებული და სავარაუდო მარაგების მოსაპოვებლად. ისეთი ფაქტორების ცვლილება, როგორიცაა დადასტურებული და სავარაუდო მარაგების შეფასება, რაც შედის საწარმოო ერთეულის გამოთვლაზე, არ იწვევს წინა წლის ფინანსური პერიოდის კორექტირების აუცილებლობას და წყდება პროსპექტიულად.

(ბ) სხვა ძირითადი საშუალებები

ნავთობისა და გაზის აქტივებისგან განსხვავებული ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვის შედეგად, ამ აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მათი სასარგებლო ეკონომიკური მოხმარების ვადის მანძილზე. სასარგებლო მოხმარების შეფასებული ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება, ხოლო შეფასების ცვლილების ეფექტი პროსპექტიულად აღირიცხება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

ნავთობისა და გაზის მანქანა-დანადგარება	წრფივი	15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	წრფივი	4 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	წრფივი	3 წელი
საოფისე ტექნიკა	წრფივი	5 წელი

ცვეთა იანგარიშება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლისა და კომერციულ საქმიანობაში ჩართვის შემდგომი თვიდან. მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის საბალანსო ღირებულებები გაუფასურებაზე მოწმდება,

როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილება მიუთითებს, რომ შესაძლოა საბალანსო ღირებულების აღდგენა ვერ მოხერხდეს. ასეთ დროს, თუ საბალანსო ღირებულება აჭარბებს შეფასებულ აღდგენად ღირებულებას, აქტივები ან ფულის გამომომუშავებელი ერთეულები მათ აღდგენად ღირებულებამდე ჩამოიწერება.

მანქანა დანადგარებისა და ტექნიკის აღდგენადი ღირებულება არის უდიდესი, ერთი მხრივ, აქტივის წმინდა გასაყიდ ფასსა და, მეორე მხრივ, მის გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შესაფასებლად, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდელი დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც შესულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეული შეფასება და აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები. ისეთი აქტივების აღდგენადი ღირებულება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს არ წარმოშობს, დგინდება ფულის გამომომუშავებელ იმ ერთეულზე, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება შემოსავლების ანგარიშგებაში, გაუფასურების მუხლში.

მანქანა-დანადგარების ერთეულის აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან როდესაც მისი გამოყენებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. აქტივის აღიარებით წარმოშობილი მოგება ან ზარალი (იანგარიშება როგორც სხვაობა წმინდა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის იმ წლის შემოსავლების ანგარიშგებაში, რომელშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

2.4 უცხოური ვალუტის კონვერტაცია

(ა) ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული ერთეულები ასახულია იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც კომპანია ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა.

(ბ) ტრანსაქციები და ნაშთები

სავალუტო ოპერაციები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება ტრანსაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსებით ან, გადაფასების დროს, გადაფასების დღის კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ამგვარ ტრანსაქციებზე ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს გაცვლითი კურსით კორექტირებით, აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება გადავადება სხვა სრულ შემოსავალში, როგორც კვალიფიციური ფულადი ნაკადების ჰეჯი და კვალიფიციური წმინდა ინვესტიციის ჰეჯი. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია აღებულ სესხებთან და ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან, შედის შემოსავლის ანგარიშგებაში „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ მუხლში. ყველა სხვა სავალუტო მოგება და ზარალი (რეალიზებული და არარეალიზებული) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „წმინდა სავალუტო მოგება (ზარალი)“ მუხლში. საკურსო სხვაობები, რომლებიც დაკავშირებულია ამორტიზებული ღირებულების ცვლილებასთან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები - სხვა სრულ შემოსავალში.

2.5 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური ანგარიშგების თითოეულ თარიღში კომპანია აფასებს, ხომ არ არსებობს გაუფასურების ერთი ან მეტი ინდიკატორი. ძიებისა და შეფასების აქტივების შემთხვევაში, შეფასება ხდება სტანდარტის „ფასს 6 - მინერალური რესურსების ძიება და შეფასება“ მიხედვით.

ინდიკატორები მოიცავს:

- ა) პერიოდი, რომელშიც პირს უფლება აქვს, ჩაატაროს ძიება კონკრეტულ ტერიტორიაზე, გავიდა მოცემულ პერიოდში ან გავა ახლო მომავალში და მისი განახლება არ ივარაუდება.
- ბ) დიდი დანახარჯები მოცემულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების ძიებასა და შეფასებაზე არც ბიუჯეტირებულია და არც დაგეგმილი.

- c) მოცემულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების ძიებას და შეფასებას არ აღმოუჩენია მინერალური რესურსების კომერციული მოპოვებისთვის შესაფერისი რაოდენობა და პირმა გადაწყვიტა, ამ ტერიტორიაზე ამგვარი საქმიანობა შეწყვიტოს.
- d) არსებობს საკმარისი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ თუმცა, მოცემულ ტერიტორიაზე მოპოვება სავარაუდოა, ძიებისა და შეფასების აქტივების საბალანსო ღირებულების სრულად აღდგენა წარმატებული მოპოვებით ან გაყიდვით არ ივარაუდება.

სამრეწველო მოპოვების აქტივების შემთხვევაში, ინდიკატორები ეფუძნება სტანდარტს „ბასს 36 - აქტივების გაუფასურება“ და მოიცავს კომპანიის გეგმების ცვლილებას, სასაქონლო ფასების ცვლილებას, ფიზიკური დაზიანების ნიშნებს და ნავთობისა და გაზის აქტივების შემთხვევაში, შეფასებული აღდგენადი ღირებულების ისეთ კორექტირებას, რომელიც იწვევს მის მნიშვნელოვან შემცირებას ან შეფასებული მომავალი მოპოვებითი დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას.

ასეთ დროს გაუფასურების ზარალის (თუ ასეთი არსებობს) მასშტაბის დასადგენად, ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. თუ ცალკეული აქტივის აღდგენადი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ ფულის გამომუშავებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. აღდგენადი ღირებულება არის უდიდესი, ერთი მხრივ, სამართლიანი ღირებულებისა და რეალიზაციის თვითღირებულების სხვაობისა და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შესაფასებლად, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდელი დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც შესულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეული შეფასება და აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები. გუდვილის გარდა სხვა აქტივების შემთხვევაში, თითოეულ საანგარიშგებო თარიღში ფასდება, ხომ არ არსებობს იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდა ან შემცირდა. თუ ამის ნიშნები არსებობს, კომპანია აფასებს აღდგენად ღირებულებას. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ბოლო გაუფასურების ზარალის აღრიცხვის შემდეგ, ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებაში. ასეთ დროს აქტივის საბალანსო ღირებულება მის აღდგენად ღირებულებამდე იზრდება. ასეთი გაზრდილი ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გარეშე, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივზე გაუფასურების ზარალის დარიცხვა.

2.6 რეზერვები

რეზერვი აღიარდება, თუ კომპანია მომავალში მოელის თანხების გადახდის აუცილებლობას წარსულ მოვლენებთან მიმართებით, თუ სავარაუდოა, რომ აუცილებელი იქნება გადახდა ვალდებულების დასაფარად და თუ ამ თანხების სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულება

კომპანია ქმნის ნავთობისა და გაზის ჭების და გვერდითი ობიექტების გაჩერების მომავალი დანახარჯების მიმდინარე ღირებულების რეზერვს. იგი აღიარდება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულების წარმოშობისას.

შეფასებული დანახარჯები, რომლებიც ეფუძნება საანგარიშგებო თარიღში მოქმედ საინჟინრო დანახარჯების დონეს, გამოიანგარიშება ობიექტების გაჩერების მასშტაბთან და მეთოდთან დაკავშირებული უახლესი დაშვებების საფუძველზე. რეზერვები აისახება ვალდებულების დასაფარად საჭირო დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულებას, რომელიც დისკონტირებულია გადასახადამდელი განაკვეთით, რაც გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო თარიღში და ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებასა და ვალდებულებისათვის დამახასიათებელ რისკებს. შესაბამისი თანხა კაპიტალიზდება როგორც ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებული მატერიალური აქტივების ნაწილი და ამორტიზდება საწარმოო ერთეულის საფუძველზე, როგორც ცვეთის, ამოწურვისა და ამორტიზაციის ხარჯის ნაწილი. ნებისმიერი კორექტირება, რომელიც წარმოიშობა აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულების შეფასებული ღირებულების გადაფასებით და ამ ვალდებულების დისკონტირების გაზრდით (დისკონტირების მოხსნით) წარმოშობილი ხარჯი მუშავდება, როგორც ფინანსური ხარჯების ნაწილი.

2.7 მარაგები

მარაგები მოიცავს ნედლ ნავთობს და აისახება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესით. თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ქვემოთ აღწერილი წესით.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც აქტივის მფლობელი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების მფლობელი გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივზე ან ვალდებულებებზე ტრანსაქციები მიმდინარეობს საფასო ინფორმაციის მუდმივად შემოდინებისათვის საკმარისი სიხშირითა და მოცულობით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლის მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელზე წვდომა პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული

პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მიწის გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას ნავთობის გაყიდვიდან. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების გარეშე არამეკავშირე მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სხვა ფინანსურ ვალდებულებებთან და აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ ხილული ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთი რისკგამოვლინებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსზ იქმნება.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ ზარალის რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. კომპანიამ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, თავდაპირველი სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით. აღნიშნული აისახება სამართლიანი ღირებულებით, მათზე აღიარებული მოგება ან ზარალის სრულ შემოსავალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. შეფასებული ამოუღებელი თანხების შესაბამისი რეზერვი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

აღებული სესხები

აღებული სესხები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის პირდაპირი ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესის განმავლობაში.

სავაჭრო გადასახდელები

სავაჭრო გადასახდელები არის ბიზნესის მიმდინარეობისას მომწოდებლებისგან შესყიდული საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება. გადასახდელები კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ გადახდა უნდა მოხდეს ერთ წელიწადში. სხვა შემთხვევაში, გადასახდელი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო გადასახდელები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

1.9 გადასახადები

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი ეფუძნება პერიოდის დასაბეგრი მოგების გარიგებებს, რომლებიც კომპანიას განხორციელებული აქვს საქართველოს სახელმწიფოსთან და განსაზღვრულია წარმოების ზიარი კონტრაქტით. ამ ხელშეკრულებით კომპანია გათავისუფლებულია ყველა გადასახადისგან (განიმარტება ფართოდ, როგორც ყველა გადასახადი, გადასახდელი, მოსაკრებელი, საკომისიო თუ შენატანი საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიმართ), გარდა ზიარ კონტრაქტში განსაზღვრულისა. კომპანიის მოგების გადასახადი იანგარიშება შესაბამისი ფისკალური რეგულაციებით. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება იანგარიშება ფინანსური ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით.

გადავადებული გადასახადი

მოგების გადავადებული გასახადადი ერიცხება ყველა დროებით სხვაობას, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდოდ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართ შესაძლებელი იქნება გამოქვითვადი საგადასახადო სხვაობების გამოყენება. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები აისახება იმ განაკვეთებით, რომელთა მოქმედება ივარაუდება აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდში, იმ განაკვეთების საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე.

2.10 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მოიცავს კომპანიის საქმიანობის პროცესში ბუნებრივი გაზისა და ნედლი ნავთობის გაყიდვით მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას და აღიარდება, როცა ამ თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, ნავარაუდევია, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობის შემთხვევაში კმაყოფილება კონკრეტული კრიტერიუმები (იხილეთ ქვემოთ).

შემოსავალი ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან აღიარდება, როდესაც გაზი გადატანილია, ხოლო ზარალის რისკი გადასულია მყიდველ მხარეზე და წარმოდგენილია როიალტისა და დღგ-ის გარეშე. ნედლი ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავალი აღიარდება მიწოდებისას და წარმოდგენილია დღგ-ის გარეშე.

მიწოდებამდე მიღებული ყველა გადახდა მიწოდების მომენტამდე აღირიცხება როგორც გადავადებული შემოსავალი.

2.11 სესხის აღების ხარჯები

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადება (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, აგრეთვე მიმდინარე მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები კაპიტალიზდება და ემატება აქტივის ან მიმდინარე მშენებლობის პროექტის ღირებულებას, სანამ აქტივი ან პროექტი მზად არ იქნება მისი დანიშნულებისამებრ მოსახმარად. როდესაც ხდება თანხების სესხება აქტივის ან პროექტის დასაფინანსებლად, კაპიტალიზებული თანხა წარმოადგენს სესხის რეალურად გაწეული ხარჯის ღირებულებას. როდესაც აქტივის ან პროექტის დასაფინანსებლად გამოყენებული თანხა ზოგადი სესხის ნაწილია, კაპიტალიზებული თანხა გაიანგარიშება ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიერ აღებულ ზოგად სესხებზე მოქმედი საშუალო შეწონილი განაკვეთების გამოყენებით. ყველა სხვა სესხის ხარჯი აღიარდება მათი გაწევის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშებაში.

2.12 სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. შეფასებისა ანდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება ამგვარ საფუძველზე დგინდება.

ინვესტიციების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო და სხვა გადასახდელების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია სამართლიან ღირებულებასთან ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო. სასესხო მოთხოვნები, გრძელვადიანი სესხი და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.13 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი აღიარდება მიღებული ანაზღურების სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი ნამატი აქციების ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გადადის აქციების პრემიუმის რეზერვში. აქციების პრემიუმის ანგარიშის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომელთა შორის არ არის დივიდენდების განაწილება. ეს ანგარიში რეგულირდება კვიპროსის კომპანიათა კანონით, სააქციო კაპიტალის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ახალი სააქციო კაპიტალის ისეთი გამოშვების ხარჯები, რომლის დროსაც გამოშვება იწვევს საკუთარი კაპიტალის წმინდა ზრდას ან კლებას, ირიცხება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. ახალი სააქციო კაპიტალის ისეთი გამოშვების ხარჯები, რომლის დროსაც გამოშვება არ იწვევს საკუთარი კაპიტალის ცვლილებას, აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო და გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 16 - იჯარა;
- შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;

აღნიშნულ შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია.

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება;
- შესწორება ბასს 1 და ბასს 8 - მნიშვნელოვანების განსაზღვრება;
- ფასს-ების გაუმჯობესების წლიური ციკლი (2010-2012 წლების ციკლი; შესწორებები ბასს 1 - ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად)

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარმოდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა „ზოგად მოდელს“, რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც „ცვლადი ანაზღაურების მიდგომად“ განისაზღვრება. „ზოგადი მოდელი“ მარტივდება „პრემიუმის განაწილების მიდგომის“ გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

„ზოგად მოდელში“ გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება სამართლიანი ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა. ფასს 17-ის შესწორებათა წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს განხორციელების იმ სირთულეების გადაჭრას, რომლებიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა. ერთერთი შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს ფასს 17-ის პირველი გამოყენების თარიღის გადადებას ერთი წლით, 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის.

გარდამავლობის მოთხოვნების მიზნებისათვის, საწყისი გამოყენების თარიღად ითვლება პირის მიერ სტანდარტის პირველად გამოყენების წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, ხოლო სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის პირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დაწყების თარიღი.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შესწორება ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება

შესწორებები განმარტავს, რომ თუმცა, ბიზნესი ხასიათდება პროდუქტით, იმისათვის, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული სიმრავლე ბიზნესად ჩაითვალოს, პროდუქტის არსებობა აუცილებელი არ არის. იმისათვის, რათა მიღებული საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული სიმრავლე ბიზნესად ჩაითვალოს, ის უნდა ხასიათდებოდეს, სულ მცირე, შემავალი კომპონენტი და არსობრივი პროცესი, რაც ერთობლივად მნიშვნელოვნად ეხმარება მის უნარს, წარმოქმნას პროდუქტი.

გარდა ამისა, შესწორებაში მოცემულია დამატებითი მითითებები, რომლებიც პირს ეხმარება იმის განსაზღვრაში, მიღებული აქვს თუ არა მას არსობრივი პროცესი.

შესწორებაში მოცემულია ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული წესით აფასებს, არის თუ არა საქმიანობათა და აქტივების მიღებული სიმრავლე ბიზნესი. კონცენტრაციის ნებაყოფლობითი ტესტით, საქმიანობათა და აქტივების მიღებული სიმრავლე ბიზნესი არ არის, თუ

მიღებული მთლიანი აქტივების არსებითად მთლიანი სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ ხილულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

შესწორება პროსპექტიულად ვრცელდება ყველა ბიზნეს-კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვა მოხდა 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პირველ საანგარიშგებო პერიოდში, ვადამდელი გამოყენების ნებართვით.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შესწორებები ბასს 1 და ბასს 8 მნიშვნელოვანების განსაზღვრება

შესწორებათა მიზანია, ბასს 1-ით მოცემული მნიშვნელოვანების განსაზღვრება გახადოს უფრო გასაგები და არ ისახავს მიზნად, შეცვალოს ფასს სტანდარტებში მნიშვნელოვანების საბაზისო ცნება. ახალ განსაზღვრებაში შევიდა უმნიშვნელო ინფორმაციით მნიშვნელოვანი ინფორმაციის „მიჩქმალვის“ ცნება.

მომხმარებლებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზემოქმედების ზღვარი შეიცვალა „შეიძლება ზეგავლენა იქონიოს“ ხარისხიდან „გონივრულად მოსალოდნელია, რომ ზეგავლენა იქონიოს“ ხარისხით.

მნიშვნელოვანების განსაზღვრება ბასს 8-ში შეიცვალა მნიშვნელოვანების განსაზღვრებით, რომელიც ბასს 1-შია მოცემული. გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ ჩაასწორა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური ჩარჩო, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანების განსაზღვრება ან მოიხმარს ტერმინს „მნიშვნელოვანი“ თანმიმდევრულობის მიზნით.

შესწორება პროსპექტიულად ვრცელდება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ვადამდელი გამოყენების ნებართვით.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების ციკლი (2010-2012); შესწორებები სტანდარტში „ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად“

ამ შესწორებათა მიზანია, განმარტონ, რომ ვალდებულება მიმდინარედ ითვლება, თუ არსებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, პირი მოელის ან აქვს უფლებამოსილება, მოახდინოს ვალდებულების რეფინანსირება ან გადავადება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით, იმავე გამსესხებელთან, იმავე ან მსგავსი პირობებით.

შესწორება მოქმედებს მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებათა წარმოდგენის ფორმაზე და არა ოდენობაზე, აღიარების დროზე თუ იმ ინფორმაციაზე, რასაც პირი განმარტავს ამ მუხლების თაობაზე.

შესწორება განმარტავს, რომ კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უკვე არსებულ უფლებას, ანგარიშსწორება გადავადდეს სულ მცირე თორმეტი თვით. შესწორება აგრეთვე მკაფიოდ ადგენს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაციაზე მოქმედებს მხოლოდ „საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებები“. კლასიფიკაციაზე არ იმოქმედებს იმის მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა; და რომ ანგარიშსწორება გულისხმობს კონტრაგენტისათვის ნაღდი ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივებისა თუ მომსახურებების გადაცემას.

შესწორებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის და უნდა გამოყენებულ იქნეს რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. სამართლიანი შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ აღწერილია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის სხვა პირველადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებიც მნიშვნელოვან რისკს ქმნის მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების აუცილებლობის თვალსაზრისით.

აქტივების საბალანსო ღირებულების აღდგენა

წლის განმავლობაში მენეჯმენტმა განიხილა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული, 4,753 ათასი აშშ დოლარის ოდენობის აქტივების (31 დეკემბერი 2018: 3,698 ათასი აშშ დოლარი) აღდგენის საკითხი. ჩატარდა დეტალური მგრძნობელობის ანალიზი. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება სრულად აღდგება. სიტუაცია ექვემდებარება ყურადღებიან მონიტორინგს. მომავალ პერიოდებში, თუ საბაზრო აქტივობამ მიუთითა, რომ საჭიროა თანხების კორექტირება, ამგვარი კორექტირება გაკეთდება.

ნავთობისა და გაზის რეზერვები

ამოწურვის სამრეწველო ერთეულების გაანგარიშების, აგრეთვე ჭების დახურვის ხარჯების დროში გადანაწილების დადგენისა და გაუფასურების ანალიზის საჭიროებებისათვის გამოიყენება ნავთობისა და გაზის დადასტურებული და სავარაუდო რეზერვები, რომელთა დადგენა მრავალ განუსაზღვრელობას მოიცავს. დაშვებები, რომლებიც შეფასების მომენტში შეიძლება ლეგიტიმური იყოს, შეიძლება ძალიან შეიცვალოს ახალი ინფორმაციის გაჩენის პირობებში. სასაქონლო ფასების, გაცვლითი კურსების, სამრეწველო ხარჯებისა თუ აღდგენის განაკვეთების პროგნოზის ცვლილებამ შეიძლება შეცვალოს რეზერვების ეკონომიკური სტატუსი და შედეგად მოიტანოს მათი გადაფასების აუცილებლობა.

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს მომავალი გარემოებების თაობაზე. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, თავისთავად, იშვიათად ემთხვევა ზუსტად რეალურ მაჩვენებლებს. ამგვარი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მოწმდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის იმ სამომავლო ხდომილებათა მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში მართებულად მიიჩნევა.

აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულება

კომპანიის ბურღვით სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი აღდგენისა და რემედიაციის ხარჯების რეზერვები ეფუძნება არსებულ სამართლებრივ და კონსტრუქციულ მოთხოვნებს, ტექნოლოგიას, ფასებს და რემედიაციის მოსალოდნელ გეგმებს. რეალური ხარჯები და ფულის გადინება შეიძლება შეფასებული თანხებისგან განსხვავდებოდეს სხვადასხვა მიზეზით, რომელთა შორისაა კანონმდებლობის, საზოგადოების მოლოდინების, ფასების, რეზერვების აღმოჩენისა და ადგილმდებარეობის ანალიზის, აგრეთვე დასუფთავების ტექნოლოგიის ცვლილება.

5. უწყვეტი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერირებას უწყვეტი საწარმოს სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ განჭვრეტად მომავალში კომპანია შეძლებს კუთვნილი აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის წარმოების ფარგლებში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 77,417 ათასი აშშ დოლარის ოდენობის მიმდინარე ვალდებულებები 3,120 ათასი აშშ დოლარის ღირებულების მიმდინარე აქტივებს აჭარბებდა 74,297 ათასი აშშ დოლარით. 2019 წელს კომპანიამ განიცადა 2,024 ათასი აშშ დოლარის ოდენობის დანაკარგები და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მისი დაგროვილი ზარალი, ფინანსურ ანგარიშგებაში, შეადგენდა 199,457 აშშ დოლარს. ისტორიულად, კომპანიას ჰქონია საოპერაციო ზარალი, საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი და უარყოფითი ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან. ჯერჯერობით გაურკვეველია, მოახერხებს თუ არა კომპანია რენტაბელობის მიღწევას და როდის. კომპანია აგრეთვე არ არის ჩამოყალიბებული იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა დაფინანსების მოპოვებას მიმდინარე საძიებო პროექტების დასასრულებლად. ეს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ჩრდილი მიაყენოს კომპანიის უნარს, გააგრძელოს ფუნქციონირება როგორც უწყვეტმა საწარმომ.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფინანსური ანგარიშგების მომზადება მართებულია შემდეგი მიზეზების გამო:

- ზარალის მთავარი გამომწვევი მიზეზია არასაკმარისი წარმოება. კომპანიის უნარი, ფუნქციონირება გააგრძელოს უწყვეტი საწარმოს სახით, დამოკიდებულია მის წარმატებაზე საძიებო ეტაპზე. გარდა ამისა, წლიური ზარალი აგრეთვე გამოწვეულია საპროცენტო ხარჯით, რომელიც დაკავშირებულია 3,860 ათასი აშშ დოლარის თამასუქთან. 2012 წლის 27 ივლისიდან მოყოლებული და ერთობლივი წარმოებისა და ოპერირების ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიას აფინანსებენ მისი პირდაპირი აქციონერები, „კანარგო ლიმიტედი“ და „ემენდი ჯორჯია ბ.ვ.“, რის სანაცვლოდაც თითოეული აქციონერი იღებს თამასუქებს, რომელთაც ერიცხება წლიური 7%.
- მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენს მეკავშირე მხარეებისთვის გადასახდელ თანხებს. აღნიშნულში შედის თანხა, რომელიც კომპანიის მმართველი პირისათვისაა გადასახდელი „კანარგო ლიმიტედს“, „ემენდი ჯორჯია ბ.ვ.-ს“, „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-სა და „კანარგო ჯორჯია ლიმიტედს“ შროსი გაფორმებული ერთობლივი წარმოებისა და ოპერირების მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით. მეკავშირე მხარეებისათვის გადასახდელი თანხებიდან 2,333 ათასი აშშ დოლარი განეკუთვნება „კანარგო ლიმიტედს“, ხოლო 145 ათასი აშშ დოლარი - „კანარგო ჯორჯიას“. მიმდინარე სესხებიდან 37,188 ათასი აშშ დოლარი განეკუთვნება „ემენდი ჯორჯია ბ.ვ.“-ს, ხოლო 36,957 ათასი აშშ დოლარი - „კანარგო ლიმიტედს“.
- კომპანია ამჟამად იმყოფება ძიების ფაზაში და მენეჯმენტი მოელის დამატებითი ნავთობის რეზერვების მიგნებასა და ოპერაციების გაფართოებას. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მოკლე ვადებში კომპანია გაზრდის ოპერაციებს და შეძლებს მომავალი ოპერაციების დაფინანსებას და საკმარისი მოგების მიღებას.
- კომპანიას 2020 წლის 24 ოქტომბრამდე ჰქონდა საძიებო საქმიანობის ჩატარების ლიცენზია. კომპანიამ მოამზადა სამრეწველო მოპოვების განახლებული გეგმა, დაადასტურა, რომ სამრეწველო მოპოვება შესაძლებელია და გეგმა შეიტანა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოში. 2020 წლის 3 აგვისტოს სააგენტომ კომპანიას ლიცენზია 2026 წლის 1 იანვრამდე გაუხანგრძლივა.
- კომპანიის უნარი, ფუნქციონირება გააგრძელოს როგორც უწყვეტმა საწარმომ, დამოკიდებულია მისი აქციონერების დახმარებაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიის აქციონერები კვლავაც აგრძელებენ ერთმანეთთან კომპანიის დაფინანსების მიწოდების პირობების შეთანხმებას, რათა კომპანია უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი საბრუნავი კაპიტალითა და დაგეგმილი სამომავლო საქმიანობით. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ აქციონერები გააგრძელებენ კომპანიის მხარდაჭერას და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მოამზადეს უწყვეტი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

- 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

კოვიდ-19-ის გავრცელებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია კომპანიის გეგმებზე და გამოიწვია მომავალი თვეების გაყიდვების პროგნოზის შემცირება. პანდემიის გამო 2020 წლის იანვრიდან მოყოლებული ნავთობის ფასებმა შემცირება დაიწყო და მარტში 40%-ზე მეტით დავარდა. მენეჯმენტს სხვადასხვაგვარი სცენარის ბიუჯეტი აქვს მომზადებული, რითიც გაყიდვებსა და მომგებიანობაზე ვირუსის ეფექტს შეაფასებს. ანალიზმა აჩვენა, რომ შემცირებული გაყიდვებით საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება ძნელი იქნება და კომპანიას დასჭირდება აქციონერებისგან მომავალი ოპერაციების დასაფინანსებლად დამატებითი კაპიტალის მოზიდვა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რაც დაკავშირებულია აქტივების ასახული თანხების აღდგენასთან და კლასიფიკაციასთან, აგრეთვე ვალდებულებების კლასიფიკაციასთან, რაც საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ გააგრძელებდა უწყვეტ საწარმოო ფუნქციონირებას.

6. გადაანგარიშება

2019 წელს, მენეჯმენტმა აღმოაჩინა, რომ წინა წლებში მეკავშირე კომპანიებზე გადასახდელი თანხები სათანადოდ არ იყო კლასიფიცირებული. ამ თანხის ნაწილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირდებოდა გრძელვადიან ვალდებულებად, მაშინ, როდესაც, რეალურად, მიმდინარე ვალდებულებები იყო. კომპანიამ დაასკვნა, რომ სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის აუცილებლობის მიუხედავად, როდესაც კომპანიას ეს ეკისრება ან სანამ ზიარ კონტრაქტს ვადა გაუვა, კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება, გადაავადოს სესხების დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვით.

სტანდარტის „ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკები, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ თანახმად, მოხდა შეცდომის რეტროსპექტიულად გადაფასება ქვემოთ აღწერილი წესით:

	ძველი აღიარება 31 დეკემბერი 2018	შეცდომის გასწორება 2018	გადაფასება 31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	70,285	(70,285)	-
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	2,478	70,285	72,763
	ძველი აღიარება 1 იანვარი 2018	შეცდომის გასწორება 2017	გადაფასება 1 იანვარი 2018
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	66,420	(66,420)	-
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	2,478	66,420	68,898

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

7. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნავთობის გაყიდვები	4,385	4,574
გაზის გაყიდვები	1,192	1,206
	5,577	5,780

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პერსონალის ხარჯები	995	1,074
საოფისე ხარჯები	315	273
პროფესიული ჰონორარები	103	99
აუდიტის ანაზღაურება	57	22
უიმედო ვალების ხარჯი	21	60
მგზავრობის ხარჯები	11	13
სხვა	41	35
	1,543	1,576

9. ფინანსური ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მეკავშირე კომპანიების მიმართ გადასახდელებზე რიცხული პროცენტი	3,860	3,865
დისკონტის გაუქმება ოპერირების შეწყვეტის რეზერვზე	-	268
სხვა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი	(14)	(2)
	3,846	4,131

მეკავშირე მხარეების სესხებს ერიცხება წლიური სარგებელი 7 (შვიდი) %, რაც ეფუძნება ერთობლივი წარმოებისა და ოპერირების ხელშეკრულებას „კანარგო ლიმიტედს“, „ემენდი ჯორჯია ბ.ვ.“-ს, კომპანიას, „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-სა და „კანარგო ჯორჯია ლიმიტედს“ შორის.

10. გადასახადები

საქართველოში კომპანიის ნავთობის ძიებისა და წარმოების დაბეგვრა განისაზღვრება კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის წარმოების ზიარი კონტრაქტით და ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული გარიგებებით. ამ ხელშეკრულებით კომპანია გათავისუფლებულია ყველა გადასახადისგან (განიმარტება ფართოდ, როგორც ყველა გადასახადი, გადასახდელი, მოსაკრებელი, საკომისიო თუ შენატანი საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიმართ), გარდა ზიარ კონტრაქტში განსაზღვრულისა.

ზიარი კონტრაქტით, კომპანიას ერიცხება 10%-იანი მოგების გადასახადი, ზიარი კონტრაქტით დადგენილ საგადასახადო ბაზისზე. ნავთობის სახელმწიფო კომპანია კისრულობს, ფარავს და ისტუმრებს ამ ვალდებულებას კომპანიის სახელით და ამას აკეთებს ზიარი კონტრაქტით მიღებული ნავთობისა და გაზის თავისი წილიდან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან აღდგენადი ხარჯების დარჩენილი ნაწილი (აღდგენადი ხარჯები აღდგენადი შემოსავლის გამოკლების შემდეგ) გაზარდა 154,306,074 აშშ დოლარამდე გაზარდა (2018: 154,134,105 აშშ დოლარი), რაც სავალდებულო აუდიტის საგანია. ზიარი კონტრაქტის მიხედვით, ეს პოზიცია მომავალი შემოსავლებიდან გამოქვითვას ექვემდებარება

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

დადგენილ ზღვრამდე, ამის ზემოთ ნებისმიერი თანხა გაიყოფა მთავრობასა და კომპანიას შორის
ნავთობიდან მიღებული მოგების გაყოფის წესის შესაბამისად.

აღდგენასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო, იგი ბალანსის ანგარიშში, გადავადებულ
საგადასახადო აქტივში არ აისახა.

11. ძირითადი საშუალებები

	ნავთობისა და გაზის აქტივები	ნავთობისა და გაზის ტექნიკა	საოფისე, სატრანსპორტო და კომპიუტერული ტექნიკა	სულ
თვითღირებულება				
1 იანვარი 2018	116,982	1,897	1,369	120,248
დამატება	584	365	257	1,206
რეალიზაცია	-	(113)	(26)	(139)
31 დეკემბერი 2018	117,566	2,149	1,600	121,315
დამატება	750	885	186	1,821
რეალიზაცია	-	-	(30)	(30)
31 დეკემბერი 2019	118,316	3,034	1,756	123,106
დაგროვილი ამოწურვა, ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2018	(116,982)	(1,393)	(1,367)	(119,742)
წლის დარიცხვა	-	(95)	(39)	(134)
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	100	19	119
გაუფასურება	(582)	-	-	(582)
31 დეკემბერი 2018	(117,564)	(1,388)	(1,387)	(120,339)
წლის დარიცხვა	(309)	(115)	(79)	(503)
გაუფასურების აღდგენა	582	-	-	582
გაუფასურება	(243)	-	-	(243)
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	30	30
31 დეკემბერი 2019	(117,534)	(1,503)	(1,436)	(120,473)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2018	-	504	2	506
31 დეკემბერი 2018	2	761	213	976
31 დეკემბერი 2019	782	1,531	320	2,633

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები, 213 ათასი აშშ
დოლარის წმინდა ღირებულებით, დაყადაღებული იყო საგადასახადო საქმის გამო. მეტი ინფორმაცია
იხილეთ შენიშვნაში #21.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ჭაზე #96 ჩაატარა რემონტი. ამ პროექტთან დაკავშირებული მთლიანი
შეფასებული კაპიტალიზებული ხარჯი შეადგენდა 582 ათას აშშ დოლარს. 2018 წლის 31 დეკემბერს
მენეჯმენტმა შეაფასა ეს აქტივები გაუფასურებაზე და გადაწყვიტა, სრულად დაერიცხა გაუფასურება ამ
აქტივებზე, ნავთობის რეზერვების აღმოჩენასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო. 2019 წლის
განმავლობაში #96 ჭაში ნავთობის რეზერვები აღმოჩენილი იქნა და კომპანიამ დაიწყო მოპოვება, რის
საფუძველზეც მენეჯმენტმა გადაწყვიტა, აღედგინა ჭასთან დაკავშირებული, მანამდე აღრიცხული
გაუფასურება.

12. მიების, შეფასებისა და სხვა არამატერიალური აქტივები

	მიების აქტივები	კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი 2018	40,001	192	40,193
დამატება	24	-	24
31 დეკემბერი 2018	40,025	192	40,217
დამატება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	40,025	192	40,217
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			
1 იანვარი 2018	(40,001)	(192)	(40,193)
გაუფასურება	(24)	-	(24)
31 დეკემბერი 2018	(40,025)	(192)	(40,217)
გაუფასურება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(40,025)	(192)	(40,217)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	-

როგორც შენიშვნაში #2.2 აღინიშნა, მარაგების დადგენამდე სამივე ზედაპირ დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება.

2018 წელს კომპანიამ გადაწყვეტილება მიიღო, გასულიყო ჭიდან მანავი 13, რამაც გამოიწვია 24 ათასი აშშ დოლარის დამატება.

13. მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მეკავშირე კომპანიების მიმართ არსებული მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის მიერ ნომინირებული ოპერატორისათვის გადახდილ ავანსებს წარმოების ზიარი კონტრაქტის შესაბამისად.

14. გადასახდელები მეკავშირე კომპანიების მიმართ

მიმდინარე ანგარიშები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
„კანარგო ჯორჯია ლიმიტედი“	2,333	2,333	2,333
„კანარგო ლიმიტედი“ - ერთობლივი საწარმოს ხარჯები	145	145	145
	2,478	2,478	2,478

„კანარგო ჯორჯია ლიმიტედისა“ და „კანარგო ლიმიტედის“ მიმართ არსებული გადასახდელები - ერთობლივი საწარმოს ხარჯები წარმოადგენს კომპანიის მიერ ნომინირებული ოპერატორის მიერ გადახდილ ავანსებს წარმოების ზიარი კონტრაქტის შესაბამისად.

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

მიმდინარე სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
		გადაფასება	გადაფასება
„ემენდი“	37,188	35,251	33,314
„კანარგო ლიმიტედი“	36,957	35,034	33,106
სულ	74,145	70,285	66,420

2012 წლის 27 ივლისიდან მოყოლებული და ერთობლივი წარმოებისა და ოპერირების ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიას აფინანსებენ მისი პირდაპირი აქციონერები, „კანარგო ლიმიტედი“ და „ემენდი ჯორჯია ზ.ვ.“, რის სანაცვლოდაც თითოეული აქციონერი იღებს თამასუქებს, რომელთაც ერიცხება წლიური 7%. 2019 და 2018 წლებში კომპანიას დარიცხული პროცენტი არ გადაუხდია. პროცენტი უნდა დაიფაროს ძირ თანხამდე. არსებული ხელშეკრულებით, ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც კომპანია არის მათი გადახდის მდგომარეობაში ან ზიარი კონტრაქტის ვადის გასვლამდე. გადაუხდელი პროცენტი შედის მეკავშირე კომპანიების მიმართ გადასახდელ მიმდინარე ანგარიშებში. 2020 წლის 1 აპრილს ჩატარებულ, საკოორდინაციო კომიტეტის სხდომაზე მენეჯმენტმა განიხილა 2020 წლის გეგმები და დაამტკიცა 2020 წლის მეორე კვარტლის შესაბამისი ბიუჯეტი. ბიუჯეტის მიხედვით, 2020 წლის განმავლობაში ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა არ იგეგმება, რადგან, მენეჯმენტის ინფორმაციით, ამ წელს რაიმე საქმიანობა, ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის გარდა, არ ივარაუდება და სესხის ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადასახდელად ფულის რესურსები ვერ გამოიყოფა.

	31 დეკემბერი 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	სხვა ცვლილებები (ii)	არაფულადი ცვლილება სავალუტო მოგება	31 დეკემბერი 2019
აღებული სესხები	70,285	-	3,860	-	74,145
	70,285	-	3,860	-	74,145

	1 იანვარი 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	სხვა ცვლილებები (ii)	არაფულადი ცვლილება სავალუტო მოგება	31 დეკემბერი 2018
აღებული სესხები	66,420	-	3,865	-	70,285
	66,420	-	3,955	-	70,285

- (i) ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღებული სესხებით მიღებული შემოდინებისა და აღებული სესხების დაფარვის სხვაობა წარმოდგენილია ფულადი ნაკადებით საბანკო სესხებიდან, მეკავშირე მხარეებისგან აღებული სესხებიდან და სხვა სესხებიდან.
- (ii) სხვა ცვლილებები მოიცავს დარიცხულ პროცენტსა და გადახდებს.

15. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გადასახდელები	84	51
დარიცხული ვალდებულებები	18	-
სავაჭრო გადასახდელები	8	3
სხვა გადასახდელები	684	-
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	794	54

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა გადასახდელები დაკავშირებულია შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავის რეზერვთან (იხილეთ შენიშვნა #20).

16. სხვა ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 იანვარი	3,807	2,721
რეზერვის (კლება)/ზრდა	(521)	818
დისკონტის გაუქმება	-	268
სულ ბალანსი 31 დეკემბერს	3,286	3,807

კომპანია დისკონტირების საფუძველზე ქმნის ნავთობისა და გაზის საწარმოო ობიექტების ლიკვიდაციის მომავალი დანახარჯების რეზერვს. აღნიშნული ხარჯების გაწევა ივარაუდება 2026 წლისათვის. რეზერვი შეფასდა არსებული ტექნოლოგიით, მიმდინარე ფასით და დისკონტირებულია 5.51%-იანი განაკვეთით. აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულების ეკონომიკური ციკლი და დრო დამოკიდებულია კანონმდებლობაზე, სასაქონლო ფასებსა და პროექტის მომავალ სამრეწველო პროფილზე. გარდა ამისა, შეფასებულ ფულად ნაკადებზე მოქმედებს ინფლაციური ანდა დეფლაციური წნეხი მესამე მხარის მომსახურების რეზერვის ხარჯში.

კომპანიის აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულების შეფასება ჩაატარა დამოუკიდებელმა კვალიფიციურმა ფირმამ, რომელმაც აქტივების ლიკვიდაციის ვალდებულება დაადგინა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რეზერვის კლება 521 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2018: რეზერვის ზრდა 828 ათასი აშშ დოლარი) აღიარებულია შეფასების ცვლილებაში, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

17. სააქციო კაპიტალი

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება მხოლოდ ორდინალური აქციებისგან. თითოეული კლასის აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია დაფუძნების მემორანდუმსა და წესდებაში.

2012 წლის 20 ივლისს კომპანია და მისი დამფუძნებელი „კანარგო ლიმიტედი“ შეთანხმდნენ, 108,540,850 აშშ დოლარის ოდენობის კომპანიათაშორისი ნაშთი დაეკონვერტირებინათ 576 ორდინალური აქციის გამოშვების სანაცვლოდ.

2012 წლის 20 ივლისის შემდეგ აქციების გამოშვება არ მომხდარა

ორდინალური აქციების კაპიტალი	რაოდენობა	2019 EUR	2019 USD	რაოდენობა	2018 EUR	2018 USD
ნებადართული – €1.71-იანი აქცია						
1 იანვარს	20,000	34	40	20,000	34	40
31 დეკემბერს	20,000	34	40	20,000	34	40

ორდინალური აქციების კაპიტალი	Number	2019 EUR	2019 USD	Number	2018 EUR	2018 USD
გამოშვებული – €1.71-იანი აქცია						
1 იანვარს	10,000	17	19	10,000	17	19
31 დეკემბერს	10,000	17	19	10,000	17	19

18. წმინდა ცვლილება საბრუნავ კაპიტალში

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სულ	(54)	(1)
მარაგები	(124)	85
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ	(178)	(1,448)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	56	(157)
წმინდა ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	(300)	(1,521)

საბრუნავი კაპიტალის ყველა წმინდა ცვლილება კატეგორიზდება როგორც საოპერაციო საქმიანობა.

19. ფინანსური რისკის მართვა

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური რისკების რამდენიმე სახეობა: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი და საბაზრო რისკი. კომპანიის რისკის მართვის პროგრამა კონცენტრირებულია ფინანსური რისკების არაპროგნოზირებადობაზე და მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე პოტენციური უარყოფითი ეფექტების მინიმიზებას. რისკის მართვას ახორციელებს უმაღლესი ხელმძღვანელობა, კერძოდ, დირექტორთა აღმასრულებელი საბჭო.

(a) ფინანსური რისკ-ფაქტორები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის მიერ ფინანსური ზარალის განცდის რისკი, თუ კლიენტმა ან ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაგენტმა ვერ შეძლო საკონტრაქტო ვალდებულების შესრულება. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კომპანიის ფულითა და ფულის ეკვივალენტებით, მეკავშირე კომპანიების მიმართ არსებული მოთხოვნებით და მოთხოვნათა ნაშთებით.

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

კომპანიის ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში ამ ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულების ტოლია.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღში არის:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ	2,611	2,433
ფული და ფულის ეკვივალენტები	43	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	213	159
	2,867	2,593

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებში შედის კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება ნედლი ნავთობისა და გაზის კლიენტების მხრიდან. დირექტორთა საბჭო თითოეულ კლიენტს უწესებს ინდივიდუალურ რისკის საზღვრებს ამ კლიენტებზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა.

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია დამოუკიდებელი რეიტინგების მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში (სს „საქართველოს ბანკი“) შემდეგი საკრედიტო რეიტინგებით („ფიტჩის“ რეიტინგები):

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
BB-/B	43	1
	43	1

დირექტორების აზრით, ლიკვიდურ სახსრებზე საკრედიტო რისკი შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები სოლიდური ბანკებია. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემთხვევაში, კონტრაგენტებს გარე შეფასების საკრედიტო რეიტინგი არ გააჩნიათ.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. ეს რისკი დაკავშირებულია კომპანიის უნართან, გამოიმუშაოს ან მოიპოვოს საკმარისი ფული და ფულის ეკვივალენტები ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების გასასტუმრებლად.

მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსებისა და ლიკვიდობის მართვის მოთხოვნების სამართავად მენეჯმენტს შექმნილი აქვს ლიკვიდობის რისკის მართვის სათანადო პრინციპები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ასეთია:

31 დეკემბერი 2019	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3 წელზე მეტი	სულ
გადასახდელი მეკავშირე კომპანიების მიმართ	76,623	-	-	76,623
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	110	-	-	110
სხვა ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვი	3,286	-	-	3,286
	80,019	-	-	80,019
31 დეკემბერი 2018 (გადაფასება)	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3 წელზე მეტი	სულ

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

გადასახდლები მეკავშირე კომპანიების მიმართ	72,763	-	-	72,763
სავაჭრო და სხვა გადასახდლები	54	-	-	54
სხვა ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვი	3,807	-	-	3,807
	76,624	-	-	76,624

1 იანვარი 2018 (გადაფასება)	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3 წელზე მეტი	სულ
გადასახდლები მეკავშირე კომპანიების მიმართ	68,898	-	-	68,898
სავაჭრო და სხვა გადასახდლები	211	-	-	211
სხვა ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვი	2,721	-	-	2,721
	71,830	-	-	71,830

ზემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით იმ უადრესი თარიღით, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმ ზარალის რისკი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნას საბაზრო ფაქტორების, მაგალითად, სასაქონლო ფასების, საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსების ცვლილების შედეგად.

(i) სასაქონლო ფასების რისკი

სასაქონლო ფასების რისკი გამოწვეულია იმ ეფექტით, რაც მომავალმა სასაქონლო მოძრაობის რყევამ შეიძლება იქონიოს გაზისა და ნავთობის პროდუქტების გასაყიდ ფასზე. მოპოვებული და აღმოჩენილი ბუნებრივი გაზისა და ნავთობის გაყიდვადობასა და ფასზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. საქართველოში გაზის ადგილობრივ გაყიდვებზე კომპანიას გაფორმებული აქვს ფიქსირებულფასიანი მოკლევადიანი გაყიდვის კონტრაქტები გახანგრძლივების ოფციით. კომპანია ნავთობ-პროდუქტებს ყიდის გაყიდვის დღეს დაფიქსირებული ბრენტის ნავთობის ფასის დადგენილი ფასდაკლებით. ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა კლებამ ბრენტის ნავთობის ფასებში შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წარმოებიდან წმინდა შემოსავლის შემცირება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე ზეგავლენას იქონიებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. არსებული გრძელვადიანი ვალი, მათ შორის აქციონერებზე გაცემული თამასუქები, რომლებიც შენიშვნაში #12 არის აღწერილი, შეთანხმებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით (7%) და, შედეგად, რისკის ოდენობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო დიდი არ არის. ბაზარზე ვითარების ცვლილების პარალელურად ამ განაკვეთების შეცვლა, კერძოდ, მნიშვნელოვანი ზრდა, გამოიწვევდა კომპანიის მიერ მეტი საპროცენტო სარგებლის გადახდის აუცილებლობას. გლობალური დაბალი საპროცენტო განაკვეთების გარემოს პირობებში, მიიჩნევა, რომ ამ რისკის პოტენციური ოდენობა დაბალია.

(iii) სავალუტო რისკი

კომპანიაზე მოქმედებს რისკები, რომლებიც გამოწვეულია ვალუტის გაცვლის კურსების მერყეობით, რაც აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტებში დენომინირებულ ნაშთებსა და ტრანსაქციებზე ვრცელდება.

საქართველოში დანახარჯების დიდი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაში, ქართულ ლარშია დენომინირებული. კომპანია სავალუტო რისკის სამართავად კურსის დერივატივულ ინსტრუმენტებს არ იყენებს.

კომპანიის ფულისა და ფულის ეკვივალენტების უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია აშშ დოლარში. თუმცა, კომპანიას აქვს დეპოზიტები სხვა ვალუტებშიც, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში. ამის მიზანია

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

მიმდინარე ზოგადი და ადმინისტრაციული საქმიანობის დაფინანსება და სხვა გაწეული დანახარჯების დაფარვა ამ ვალუტებში.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო თარიღებში არის:

ფულადი აქტივები	GEL	GBP	EUR	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	43	-	-	43
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	213	-	-	213
სულ ფინანსური აქტივები	256	-	-	256
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	110	-	-	110
სულ ფინანსური ვალდებულებები	110	-	-	110
ღია პოზიცია	146	-	-	

ფულადი აქტივები	GEL	GBP	EUR	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	141	-	-	141
სულ ფინანსური აქტივები	141	-	-	141
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	51	-	-	51
სულ ფინანსური ვალდებულებები	51	-	-	51
ღია პოზიცია	90	-	-	

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა სხვა ვალუტების მიმართ აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურების მიმართ, რაც წარმოადგენს გაცვლითი კურსების ცვლილების მენეჯმენტისეულ გონივრულ დაშვებას.

	31 დეკემბერი 2019		
	USD/GEL -10%	USD/GBP -10%	EUR/GEL -10%
მოგება გადასახდამდე	15	-	-

	31 დეკემბერი 2018		
	USD/GEL -10%	USD/GBP -10%	EUR/GEL -10%
მოგება გადასახდამდე	9	-	-

იმავე ვალუტების მიმართ აშშ დოლარის 10%-იან გაძლიერებას იგივე, მაგრამ საპირისპირო ეფექტი ექნებოდა ზემოთ ნაჩვენებ თანხებზე, სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში.

(ა) კაპიტალის რისკის მართვა

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალითა და ვალით. მეკავშირე კომპანიების მიმართ არსებული მთლიანი გადასახდელები არის გადასახდელები „კანარგო ლიმიტედისა“ და „კანარგო ჯორჯია ლიმიტედის“ მიმართ.

წმინდა ვალი გაიანგარიშება როგორც გადასახდელები მეკავშირე კომპანიების მიმართ (მათ შორის მიმდინარე და გრძელვადიანი გადასახდელები მეკავშირე კომპანიების მიმართ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში), ფულისა და ფულის ეკვივალენტების გამოკლებით. მთლიანი კაპიტალი იანგარიშება როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული „საკუთარი კაპიტალი“ და წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გადასახდელები მეკავშირე კომპანიების მიმართ - მიმდინარე	76,623	72,763	68,898
გამოკლებული: ფული და ფულის ეკვივალენტები	(43)	(1)	-
წმინდა ვალი	76,580	72,762	68,898
სულ საკუთარი კაპიტალი	(74,266)	(72,926)	(69,907)
მთლიანი კაპიტალი	2,314	(164)	(1,009)

(b) სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება

კომპანია საანგარიშგებო თარიღში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის იყენებს ფასს 13-ის შესწორებას, რომელიც მოითხოვს სამართლიანი ღირებულების განმარტებას ღირებულებათა იერარქიის დონის მიხედვით:

1-ელი დონე: კვოტირებული (არაკვოტირებული) ფასები იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე. კომპანიას არ გააჩნია აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც 1-ელი დონის მონაცემებს მოითხოვს.

მე-2 დონე: პირველი დონის კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, პირდაპირ ან ირიბად ხილული მონაცემები. კომპანიის შემთხვევაში, მე-2 დონის მონაცემებია ფასები, რომლებიც დასტურდება სხვა ხილული მონაცემებით კონტრაქტის არსებითად მთელი ვადის მანძილზე.

მე-3 დონე: არახილული მონაცემები. კომპანიის შემთხვევაში, მე-3 დონის მონაცემებია საწარმოო და ფასთან დაკავშირებული დაშვებები, რომლებიც არ ეფუძნება ხილულ საბაზრო მონაცემებს (არახილული მონაცემები) ან დამოკიდებულია მენეჯმენტის მიერ სხვაგვარად სტანდარტულ შეფასების მოდელში შეტანილ კორექტირებასა თუ ინტერპოლაციაზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას რეგულარულად სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად არ აისახება (მაგრამ სამართლიანი ღირებულების განმარტება სავალდებულოა)

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება ივარაუდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სამართლიანი ღირებულები ს	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
	სამართლ იანი		სამართლ იანი		სამართლ იანი	
	საბალანსო ღირებულე ბა	ღირებუ ლება	საბალანსო ღირებულე ბა	ღირებუ ლება	საბალანსო ღირებულე ბა	ღირებუ ლება
იერარქია	Restated		Restated		Restated	
გადასახდლები მეკავშირე კომპანიების მიმართ (მიმდინარე)	3	76,623	76,623	72,763	72,763	68,898

20. ტრანსაქციები და ნაშთები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანსაქციების განხორციელება, რასაც არამეკავშირე მხარეები ვერ განახორციელებენ. ასეთი ტრანსაქციები შეიძლება არ განხორციელდეს ისეთივე პირობებით, რაც იქნებოდა არამეკავშირე მხარეებს შორის.

მეკავშირე მხარეებს შორის თითოეული შესაძლო ტრანსაქციის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ - სამართლებრივ ფორმას. კომპანიას მეკავშირე მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ტრანსაქციები:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
	სულ		სულ		სულ	
	ნაშთები მეკავშირე მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლით	ნაშთები მეკავშირე მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლით	ნაშთები მეკავშირე მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლით
	გადაფასება		გადაფასება		გადაფასება	
მიმდინარე აქტივები						
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ	2,611	2,611	2,433	2,433	985	985
მიმდინარე ვალდებულებები						
გადასახდლები მეკავშირე კომპანიების მიმართ	76,623	76,623	72,763	72,763	68,898	68,898

მოთხოვნები მეკავშირე კომპანიების მიმართ 2,611 აშშ დოლარის, 2,433 ათასი აშშ დოლარის და 985 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წარმოადგენს წარმოების ზიარი კონტრაქტით არსებული ოპერატორი კომპანიის მომსახურების სანაცვლოდ გადახდილ თანხას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესულია შემდეგი თანხები, რომლებიც აღიარებულია მეკავშირე მხარეებთან განხორციელებულ ტრანსაქციებში:

31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
----------------------	----------------------

**2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)**

	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მხარეებთან	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლით	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მხარეებთან	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლით
უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღურება	353	995	344	1,074
ფინანსური ხარჯები	3,860	3,846	3,865	4,131
მოგზაურობის ხარჯები	3	11	1	13
საოფისე ხარჯები	3	315	-	273

21. პირობითი ვალდებულებები და გარანტიები

პირობითი ვალდებულებები – ნინოწმინდის, მანავისა და დასავლეთ რუსთავის წარმოების ზიარი კონტრაქტი, რომელიც XIE და XIF ბლოკებს მოიცავს („ზიარი კონტრაქტი“), რომელშიც „ნინოწმინდა ოილ კომპანი“ ფლობს 100%-იან წილს, ითვალისწინებს კონტრაქტით მოცული ტერიტორიის 50%-ის ჩაბარებას ხუთწლიანი ინტერვალებით. ამ პირობის ფარგლებში კომპანია ჩასაბარებელ ნაწილებს თავად ირჩევს. კომპანია არ არის ვალდებული, თავდაპირველი საკონტრაქტო ტერიტორიის რომელიმე ნაწილი დათმოს, რადგან მას მოთხოვნები შესრულებული აქვს. რაც შეეხება დასავლეთ რუსთავის საბადოს (XIF ბლოკი), იგი კომპანიამ დათმო 2015 წლის 23 თებერვალს. კომპანიამ 2017 წლის 16 აგვისტოს აგრეთვე ჩააბარა XIE სალიცენზიო ბლოკის 18.78 კვ.კმ ფართობის ნაკვეთი.

„მარტყოფი ოილ კომპანი ლიმიტედთან“ ერთად, რომელიც კომპანიასთან ერთად ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული საწარმოა, კომპანიას ეკისრება 1,681 ათასი აშშ დოლარის მოთხოვნა „კანარგო ლიმიტედისგან“, რომელიც ეფუძნება „ერნსტ & იანგის“ მიერ ჩატარებული სააუდიტო მომსახურებას. „ემენდი“ კონტრაქტით უფლებამოსილია, შეამოწმოს „კანარგო ლიმიტედის“ („მმართველი“) და „კანარგო ჯორჯია ლიმიტედის“ („ოპერატორი“) მიერ ერთობლივ საწარმოებზე დარიცხული ხარჯები. აღნიშნული თანხა წარმოადგენს კომპანიასა და „მარტყოფი ოილ კომპანიზე“ „კანარგო ლიმიტედის“ მიერ არასწორად დარიცხულ გადასახდელს „მმართველობითი მომსახურების“ ხელშეკრულების მიხედვით. ამ თანხას „კანარგო ლიმიტედი“ ასაჩივრებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება „კანარგო ლიმიტედის“ მიმართ თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებულ რაიმე კორექტირებას არ შეიცავს.

სამართლებრივი დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედი“ მონაწილეობს დავაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ.

2017 წელს შემოსავლების სამსახურმა კომპანიას დააკისრა საგადასახადო ჯარიმა 834,666 აშშ დოლარის (2,163,621 ლარი) ოდენობით, 2014 წლის 1 აპრილიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდის მომცველი ინსპექტირების აქტის საფუძველზე. კომპანია არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს. თუმცა, 2019 წელს კომპანიას დარიცხული აქვს ვალდებულებები აღნიშნულ ჯარიმაზე, ძირ თანხასა და პროცენტზე სულ 683,571 აშშ დოლარის (1,960,276 ლარის) ოდენობით, ხოლო 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გადაიხადა ძირი თანხის ნაწილი 76,490 აშშ დოლარის (204,733 ლარი) ოდენობით.

2018 წლის 25 იანვარს „ნინოწმინდა ოილ კომპანიმ“ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2018 წლის 13 აპრილს კომპანიამ საჩივარი შეიტანა ფინანსთა სამინისტროში შემოსავლების სამსახურის უარზე, ავტომატურად გაეთავისუფლებინა კომპანია ჯარიმისა და დაგვიანებული გადახდისგან. 2019 წლის 2 ოქტომბრის ფინანსთა სამინისტრომ უარი უთხრა კომპანიას საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლებაზე და ნება დართო, მხოლოდ გადაეანგარიშებინა ჯარიმა საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ბოლო შესწორებათა შესაბამისად.

2019 წლის 22 ნოემბერს კომპანიამ საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა ყველა საგადასახადო ჯარიმისა და დაგვიანებული გადახდის პროცენტისგან გათავისუფლება კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის სტატუსის გათვალისწინებით.

2020 წლის 24 თებერვალს შემოსავლების სამსახური დათანხმდა საგადასახადო ჯარიმისა და დაგვიანებული გადახდის პროცენტის შემცირებას მხოლოდ 32 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიამ ეს გადაწყვეტილება 2020 წლის 23 მარტს გაასაჩივრა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის საქმეები კვლავ მიემატება.

აღნიშნულ საკითხში დასახმარებლად კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ისინი წარმატებას მიაღწევენ. თუმცა, მათი შეფასებით, თუნდაც საქმე შემოსავლების სამსახურმა მოიგოს და კომპანიას ყველა საგადასახადო ვალდებულების გადახდა დაეკისროს, ამას არ ექნება იმდენად უარყოფითი ეფექტი, რომ ექვემდებარება დააყენოს კომპანიის როგორც უწყვეტი საწარმოს სტატუსი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე სახის კორექტირებას, რაც დაკავშირებულია აღრიცხული აქტივების ღირებულების აღდგენადობასთან და კლასიფიკაციასთან და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან იმ შემთხვევისათვის, თუ კომპანიამ ვერ შეძლო უწყვეტი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ინტერპრეტაციებისა და ხშირი რედაქტირების საგანია. გარდა ამისა, კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია შეიძლება საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან განსხვავდებოდეს, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ტრანსაქციების ექვემდებარება დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტის გადახდა. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან ყველა საგადასახადო ვალდებულება უკვე დაფარა და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე დამატებითი რეზერვი არ გაუთვალისწინებია.

საოპერაციო გარემო - საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2019 და 2018 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კოვიდ-19-ის გავრცელების შესაფერხებლად ბევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები ბევრ კომპანიას ოპერაციებს მნიშვნელოვნად ურთულებს და დიდი ზეგავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სწრაფად ცვალებადმა სიტუაციამ შეიძლება საგრძნობი ეფექტი იქონიოს მრავალ სექტორში მოღვაწე ბევრ კომპანიაზე, მათ შორის, წარმოების შეწყვეტისა თუ ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების შეფერხების, პერსონალის კარანტინში გადასვლის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო ბიზნესის ოპერირების შეფერხების თვალსაზრისით. შესაძლებელია, კომპანია დაექვემდებაროს კოვიდ-19-ის მზარდ ეფექტს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების გამო. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

22. საბოლოო დამფუძნებელი და მაკონტროლებელი მხარე

კომპანიას ერთობლივად აკონტროლებენ „კანარგო ლიმიტედი“ და „ემენდი ჯორჯია ზ.ვ.“. ამ უკანასკნელის მონაწილეობა „ნიიოწმინდა ოილ კომპანიში“ წარმოდგენილია კაპიტალის აღრიცხვით „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-ის

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან „ემენდი ჯორჯია ბ.ვ.“ არის „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-ის 100%-იანი შვილობილი კომპანია და შედეგად, სრულად არის კონსოლიდირებული „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-ის ფინანსურ ანგარიშგებაში. „ემენდი გრუპ ნ.ვ.“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება შეიძლება ნიდერლანდებში, სავაჭრო პალატაში.

2016 წელს „კანარგო ლიმიტედი“ შეისყიდა და ამჟამად არის „კანარგო კაიშან ლიმიტედისა“ და ყოფილი დაქირავებული პირის საკუთრება. „კანარგო ლიმიტედის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასლების მიღება შეიძლება კომპანიის მდივნისგან მისამართზე მანუთ როუ 55, სენტ პეტერ პორტი, გერმანი, GY1 1NU.

23. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

კოვიდ-19-ის ვირუსის გავრცელებამ ნეგატიური ეფექტი იქონია კომპანიის გეგმებზე ზოგადად, რადგან 2020 წლის იანვრიდან მოყოლებული, პანდემიის გამო ნავთობის ფასებმა დაიწყო კლება და 2020 წლის მარტში 40%-ზე მეტით შემცირდა და 30 მარტს 20 აშშ დოლარზე ნაკლები გახდა. 3 აპრილს ბრენტის ნავთობის ფასები 32 აშშ დოლარამდე გაიზარდა. მატება აგრეთვე დაფიქსირდა იენისში და ფასი 40 აშშ დოლარი გახდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის ნავთობის ფასების რყევას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ეფექტი არ ჰქონია, რადგან კომპანია ძიების ეტაპზეა და წარმოება ან გასაყიდი მარაგები არ აქვს (შენიშვნა #5).

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და მოლოდინები პანდემიის განვითარებასთან და საქართველოს ეკონომიკაზე მის ზეგავლენასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში აისახა სავალუტო ბაზრის გაზრდილ მერყეობაზე.

არსებული განუსაზღვრელობების მიუხედავად, ეროვნული ბანკი კვლავაც ინტენსიურად მუშაობს მოქალაქეებსა და კომპანიებზე ნეგატიური ეფექტის შემცირების მიზნით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის გაცვლითი კურსი იყო 3.2233.

სხვა ისეთ მოვლენას, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებას ან განმარტებას მოითხოვდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2020 წლის 30 ოქტომბერს „ნინოწმინდა ოილ კომპანი ლიმიტედის“ მენეჯმენტმა დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად.